

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

დაბადების ჟამს ყველა ლამაზია, ქორწინების ჟამს ყველა მდიდარი. სიკვდილის ჟამს კი ყველა წმიდანი, - ამბობს ერთი ანდაზა. ყოველთვის ასე იყო, განსაკუთრებით სიკვდილის მიმართ. შეიძლება ეს არის პასუხი სიკვდილის არსზე, რამდენადაც სიცოცხლე არის ჩვენთვის მოცემული დრო, რათა გავხდეთ წმიდანი, სიკვდილის ჟამს კი, როგორც არასდროს, გამოვლინდება საზრისი, რომელიც ჩვენს ცხოვრებას მივეცით; ასევე, ამბობენ, რომ ჩვენ ვცოცხლობთ იმისთვის, რათა გარდავიცვალოთ; მ. ჰაიდეგერის აზრით, „სიკვდილისთვის ვარსებობთ“, რამდენადაც ეს ადამიანის მდგომარეობის ერთადერთი, სრულიად გარკვეული შესაძლებლობაა; მოკვდები ისე, როგორც იცხოვრებ; თუ ეუღლად ცხოვრობ, ეუღლად მოკვდები. კიდევ რამდენი ხალხური სიბრძნეა გამოთქმული! სიკვდილი, მიუხედავად სიმძიმისა, მწუხარებისა, მარტოობისა, ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი, საზეიმო ჟამია; სიკვდილი ფართოდ გაღებული კარია ახალ სიცოცხლეში გადასასვლელად: არა რეინკარნაციით, არამედ იმ სახეცვლილებით, რაც ღვთაებრივ ცხოვრებაში გრძელდება, იმ ღვთაებრივ ცხოვრებაში, რომელსაც ჩანასახშივე ვატარებთ, იმ ნაპერ-



თუკი სიკვდილიც კვდება...

წკალს, იმ ზებუნებრივ სუნთქვას, რომელიც გვაიძულებს ვიცოცხლოთ, ვიბრძოლოთ, ვიმედოვნოთ, გვიყვარდეს. მაგრამ რამდენჯერ დაუკარგავს სიკვდილს, - ისევე როგორც სიცოცხლეს, - თავისი ღირსშესანიშნაობა, სიდიადე, უნიკალურობა, იმდენად, რომ ჩვეულებრივ, ბანალურ მოვლენასაც კი დამსგავსებია; მიწა მიწას უბრუნდება, არარაობა - არარაობას და როდესაც ადამიანი ამას აცნობიერებს (თუკი აცნობიერებს!), ყველაზე მწარე ნაღველი მეტნაკლებად ასათვისებელ პასუხად ეჩვენება. როგორ მინდა, რომ სიკვდილის წუთები არასდროს იქცეს ჩვეულებრივ წუთებად: მომაკვდავ სიკვდილად! ცხადია, ყოფით, ყოველდღიურ ცხოვრებაში სიკვდილსაც მივეჩვიეთ; მხოლოდ უახლოესი ადამიანის

გარდაცვალება, გახმაურებული სიკვდილის ქრონიკები თუ შეადრწუნებს ჩვენს გულს. სხვათა სიკვდილი, ვინც ამ წუთებში კვდება, რად გვანაღვლებს? ადრე თუ გვიან, ევთანასიის შესახებ დებატებიც კი აღარ აღმოჩნდება საინტერესო. როგორ მინდა, რომ სიკვდილი იყოს სიცოცხლის უკანასკნელი საგალობელი, ჭეშმარიტი სიცოცხლის, რომელიც კვლავ აღორძინდება იმედით სავსე. როგორ მინდა, რომ სიკვდილი სიცოცხლისადმი უკანასკნელი მსახურება იყოს! ჩვენთვის, კათოლიკეებისათვის, 2 ნოემბერი ყველა მორწმუნე მიცვალებულის ხსენების დღეა; მას შემთხვევით როდი უსწრებს ყველა წმიდათა ხსენების დღე, 1 ნოემბერი; ეს ერთი მედლის ორი მხარეა, განუყოფელი: სიცოცხლე და სიკვდილი, სინმინდე და

ცოდვა, მარადიულობა და დრო, სული და სხეული, სიყვარული და სიძულვილი, ზეიმი და ყოველდღიური ცხოვრება, სიხარული და ტკივილი, სიმართლე და სიცრუე, რწმენა და ურწმუნობა... კიდევ რამდენი ორწევრის მოყვანა შეგვიძლია ადამიანის ცხოვრებიდან; და ყველაფერი მნიშვნელოვანია! დღეს თითქოს სიკვდილის წინაშე რწმენა და სახარების უწყებაც მხოლოდ რიტუალად იქცა: აუცილებელი სამზადისი: ჩასასვენებელი, საფლავი, ქელები, გლოვა... და, ასევე, მღვდლის თანდასწრება, რაც ხშირ შემთხვევაში ამ რიტუალის ნაწილია და მეტი არაფერი! სიკვდილის საიდუმლო დაყვანილია რიტუალებამდე, გადამღერებულ სადღეგრძელოებამდე, სიკვდილი აღქმულია ამოთხრილ ორმოდ, სადაც ჩააგდებენ გვამს, მსგავსად იმ თესლისა, რომელიც არანაირ ყვავილს, ნაყოფს არ გამოიღებს... ასეთი რიტუალები კი არ გვაცოცხლებენ, გვკლავენ. და რას ვიტყვით რწმენის, ლოცვის შესახებ? ევქარისტიაში მონაწილეობაზე? როგორ უნდა აღინიშნოს ყველაზე



ლამაზად სიკვდილი, რომელიც არ კვდება, რამეთუ მორწმუნისათვის გარდაცვალება ხელახლა დაბადებაა, აღდგომა, ხოლო ცრუ ქრისტიანთათვის ის არაფერია, სიცარიელეა, ამაო ჟამია. რაოდენ სამწუხარო და მტკივნეულია, როდესაც ხედავ, ჩვენს კათოლიკე თემში როგორ კვდება სიკვდილი, იმ რწმენასთან ერთად, რომელიც ალბათ არასდროს ყოფილა ცოცხალი, ან თუ ცოცხალია, იგი არ საზრდოობს. სიკვდილის წინაშე მორწმუნეები იმ ექიმს ვემსგავსებით, ოპერაციისას რომ იცინის, ხუმ-

რობს, ეწევა, თამაშობს სამუშაო იარაღებით... მღვდელი წირვას აღავლენს გარდაცვლილის ჩასასვენებლის წინაშე, მრავალი მონათლული კი გარეთ დგას და ეწევა... ლაყბობაზე უკეთესი ვერაფერი მოუფიქრებიათ, მაშინ როდესაც ეკლესიაში ან ოჯახში ეს ღვთაებრივი სიტყვები გაისმის: „მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე...“ და შემდეგ რამდენ აუტანელ თავის მართლებას ვისმენტ, ოღონდ არ შეიცვალონ, ასე გააგრძელონ, სჯეროდეთ, რომ ყველაფერი მაინც კარგად იქნება!



ქრონიკა

ინდოეთში კათოლიკე მღვდელი დააპატიმრეს

83 წლის იეზუიტი მღვდელი სტენ სვამი 10 ოქტომბერს დააპატიმრეს. ინდოეთის გამოძიების ეროვნულმა სააგენტომ ღმრთისმსახური მათისტებთან კავშირისა და ტერორისტთა ხელშეწყობის ბრალდებით დააკავა. სტენ სვამი 15 წელია ჯარკჰანდის შტატში მსახურებს და აქტიურად იცავს ძირძველ მკვიდრთა, ადივასის თემების უფლებებს. იგი გამოდის მსხვილი კორუპრაციებისა და სახელმწიფო პროექტების წინააღმდეგ, რაც ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების დარღვევით ხორციელდება. მინა, რომელზეც ადივასის თემები ცხოვრობენ, მდიდარია სხვადასხვა ნედლეულით. მკვიდრ მოსახლეობას უსამართლოდ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, მინას ართმევენ. ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით სახელმწიფო დევნის და აპატიმრებს ადივასის აქტივისტებსა და მათ მხარდამჭერებს.

იესოს საზოგადოებამ მამა სტენის დაპატიმრებასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გაავრცელა, „სტენ სვამის არასდროს დაურღვევია ინდოეთის კანონები. იგი ყოველთვის იმალეობდა ხმას ადივასის უფლებების დასაცავად, მაგრამ ამას მხოლოდ მშვიდობიანი და კანონით ნებადართული მეთოდებით აკეთებდა. სახელმწიფო ადგილობრივ თემებთან შეუთანხმებლად დაეუფლა ადივასის კუთვნილ მიწებს, ახლა კი ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით აპატიმრებს ადამიანებს, რომლებიც სამართლიანობის აღდგენას ცდილობენ. ჩვენმა თანამოძმემ მოიძია და გამოაქვეყნა მასალა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან აქტივისტების, მათ შორის, ახალგაზრდების დევნას ადასტურებს. ჩვენ, იეზუიტები, თანადგომას ვუცხადებთ მამა სტენსა და ყველას, ვინც ინდოეთში ადამიანის უფლებათა დაცვისთვის იბრძვის“, - ნათქვამია განცხადებაში.

შიშხილთან ბრძოლის საერთაშორისო ფონდი

16 ოქტომბერს, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის დაარსების 75-ე წლისთავზე, უწმიდესმა პაპმა FAO-ს გენერალურ დირექტორს ვიდემომმართვა გაუგზავნა. „75 წლიანმა გამოცდილებამ გაჩვენათ, რომ საკ-

მარისი არ არის მხოლოდ სურსათის წარმოება. აუცილებელია სურსათის მიწოდების მდგრადი სისტემების შექმნა. COVID-19-ის პანდემიის მძიმე ხანას კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ხელი შევეწყოთ სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის, მსოფლიო სასურსათო პროგრამისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ფონდის ინიციატივებს. წინააღმდეგობათა ეპოქაში ვცხოვრობთ. ერთი მხრივ, მეცნიერების სხვადასხვა დარგში უპრეცედენტო პროგრესს ვხედავთ, მეორე მხრივ კი, მრავალი ჰუმანიტარული კრიზისის მოწმენი ვართ. შიმშილის დაძლევისთვის კონკრეტული პოლიტიკური მოქმედებებია საჭირო. დებატებს არაფერი მოაქვს და ჩვენი დები და ძმები კვლავაც შიმშილისგან იტანჯებიან. ამიტომ გთავაზობთ, შევექმნათ საერთაშორისო ფონდი იმ სახსრებით, რომლებიც ამჟამად შეიარაღებასა და სხვა სამხედრო საჭიროებებს ხმარდება, რათა საბოლოოდ დავეძლიოთ შიმშილს“, - აღნიშნა თავის მიმართვაში უწმიდესმა ფრანცისკემ.

უწმიდესი ფრანცისკე მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ

„სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებამ ძალზე გამახარა. მაგრამ მშვიდობა ძალიან მყიფე და ხანმოკლე აღმოჩნდა. მოვუწოდებ მხარეებს შეთანხმების განახლებისკენ. ვნუხვარ დალუპულთა გამო, განცდილი ტანჯვისა და სამკვიდროს დაკარგვის გამო. ვლოცულობ და მოგიწოდებთ, ილოცოთ მათთვის, ვისი სიცოცხლეც ახლა საფრთხეშია“, - აღნიშნა უწმიდესმა პაპმა 11 ოქტომბერს, საკვირაო წირვის შემდეგ.

იერუსალიმის ეკლესიების მეთაურებმა საგანგებო მიმართვა გამოაქვეყნეს, რომელშიც ევროპის, რუსეთის ფედრაციისა და აშშ-ს ლიდერებს და გაეროს თავმჯდომარეს მოუწოდეს, დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები, რათა ბოლო მოეღოს სისხლისღვრას მთიან ყარაბაღში. „ისევ დაილუპნენ უდანაშაულონი, მრავალი ადამიანი, მათ შორის, ბავშვები ომის საშინელებას გაურბიან და საკუთარ სახლებს ტოვებენ“, - ნათქვამია მიმართვაში.

პაპმა პიო: „როდესაც მილიონი ბავშვი სავარდით ლოცულობს, მსოფლიო იცვლება“

18 ოქტომბერს საქველმოქმედო ფონდის Kirche in Not თაოსნობით კვლავ გაიმართა საერთაშორისო აქცია „მილიონი ბავშვი სავარდით ლოცუ-

ლობს“. წელს მშვიდობისა და ერთობისთვის ლოცვას კიდევ ერთი ვედრება დაემატა - ხსნა პანდემიისა და პანდემიით გამოწვეული კრიზისისგან. „მთელ მსოფლიოს ემუქრებოდა და დღესაც ემუქრება უხილავი ვირუსი, რომელმაც უკვე ასი ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეინირა და სავალალო საზოგადოებრივ-ეკონომიკური შედეგები გამოიწვია. დღეს განსაკუთრებით გვმართებს ერთმანეთის დახმარება და უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაზე დიდი დახმარება უფლისგან მოდის“, - მიმართა ყმაწვილ მლოცველებს ორგანიზაციის Kirche in Not პრეზიდენტმა, კარდინალმა მაურო პიაჩინცამ.

„ჩვენი გზა ზეცისაკენ“

10 ოქტომბერს ასიზიში კათოლიკე ეკლესიამ ნეტარად შერაცხა 15 წლის იტალიელი მოზარდი, თვითნასწავლი პროგრამისტი კარლო აკუტისი. იგი 2006 წელს ლეიკემიისგან გარდაიცვალა. 2020 წლის 21 თებერვალს უწმიდესმა ფრანცისკემ ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლითაც აღიარებულია კარლოს მეოხებით ბრაზილიელი ბიჭუნას, მათეუსის სასწაულებრივი განკურნება. „რაც უფრო მეტს ვეზიარებით, მით უფრო ვემსგავსებით ქრისტეს“, - ამბობდა ნეტარი კარლო. სწორედ ევქარისტია იყო მისი „გზა ზეცისაკენ“.

კარლო აკუტისი ნამდვილი მისიონერი იყო. იმისთვის, რომ ადამიანებისთვის თავისი რწმენის შესახებ ეამბნა, სახლიდან გასვლაც კი არ სჭირდებოდა. თერთმეტი წლისამ საიტი-კატალოგი შექმნა, სადაც ევქარისტიულ სასწაულებსა და წმიდანთა ცხოვრებას აღწერდა. „კარლო აკუტისი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეუძლიათ ახალგაზრდებს ტექნოლოგიების გამოყენება რწმენის დამონებითთვის და თავიანთი ღირებულებების გაზიარებისთვის“, - აღნიშნა ბეატიფიკაციის ცერემონიაზე კარდინალმა ვალინიმ. ყველა, ვინც მას იცნობდა, მის უზომო სიყვარულზე საუბრობს. ყველას ეხმარებოდა - სამრევლოში და სამრევლოს გარეთ: მიგრანტებს, გაჭირვებულებს, ბუღინგის მსხვერპლ თანატოლებს. „ჩვეულებრივი მოზარდი იყო. თანატოლების მსგავსად, ფეხბურთი და კომპიუტერული თამაშები უყვარდა“, - იხსენებს კარლოს დედა. ნეტარი კარლო აკუტისი იყო ჩვეულებრივი მოზარდი, რომელმაც არაჩვეულებრივი ცხოვრებით იცხოვრა და წარუშლელი კვალი დატოვა იმ ადამიანთა გულეში, რომელთაც ზეცისკენ მიმავალ გზაზე შეხვდა.



თარგმანა
რუსუდან ავალიშვილმა

პიუოტ ნმიდანი სქქართველოში – სინოდის ექო



ნუგზარ გარდაველიძე

ამ საქმაოდ ხანგრძლივი პადემიის დროს, როცა ყოველ შემხვედრ ადამიანში შესაძლოა, ინფიცირების წყაროს ხედავდე, როდესაც სოციალური კრიზისი და აგრესიული წინასაარჩევნო კამპანია თავის გამოწვევებს გახვევს, როცა სინმინდე წარმოადგენს „შესაძლებელს შეუძლებელში“, კიდეე უფრო რთულია, მაგრამ აუცილებელი, მიმართო ნმიდანებს. ამ არაორდინალურ ვითარებაში ლათინური წესის ადგილობრივმა კათოლიკე ეკლესიამ, როგორც ყოველთვის, სწორი ორიენტირი დაისახა და წეროვანის სულიერების ცენტრში ორი დღით უმასპინძლა სრულიად საქართველოს კათოლიკე სამრევლოების მორიგი სინოდის კრებას.

წლევანდელი სინოდის კრება ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და რეალობაში წმიდანობის გამორჩეულ მისიას მიედღვნა. ჯერ არ განელეებულა სინოდის კრებაში მონაწილეობით მიღებული მძაფრი ემოციები, განცდები, რომ შეძლო აღივსო სურვილით, დაინახო და გაისიგრძეგანო წმიდანთა ცხოვრების გამოცდილება და მათი მოწმეობისა და მოღვაწეობის მაგალითები, დაისახო შენს ქვეყანაში საუკუნეების მანძილზე მცხოვრებ

დამაშვრალ წმიდანთა ქრისტიანული გამოცდილება შენს სამომაველო, თუნდაც აუხდენელ მიზნად, სამომაველო ცხოვრების ნათელ ორიენტირად, გწამდეს, რომ სინმინდე ჭეშმარიტად არის შესაძლებელი შეუძლებელში. მართალია, სინოდის მუშაობაში ქვეყნის ყველა რეგიონის 30-მდე საკრებულოს ათასობით მორწმუნეთაგან ოთხმოცი წარგზავნილი მონაწილეობდა, მაგრამ ისინი ხომ იმ სანთლებს წარმოადგენენ, რომელთაც სინოდის ნათელი სრულიად საქართველოს კათოლიკური საკრებულოების ყოველ წევრს უნდა უწილადონ. სინოდის და ეკლესიის კლებითობის არსიც ხომ თანაზიარებაშია, თანაზიარება კი მოყვასთა შორის ყოველივეს გაზიარებას, განაწილებას, გადაცემას ნიშნავს. ამ წერილის მიზანიც სწორედ სინოდის კრებაში მონაწილეთა უშუალო შთაბეჭდილებების, განცდების, ემოციების საჯარო გაზიარებაა. . .

წარმოგიდგენთ მცირე ამონარიდს სინოდის კრების მონაწილეთა შთაბეჭდილებებიდან:

მზია ჯანაშვილი (მარიამის ზეცად აღყვანების თბილისის საკათედრო ტაძრის სამრევლო):

„სინოდის ყველა მომენტი ძალიან დატვირთული და დასამახსოვრებელი იყო, განსაკუთრებით ჯვრის მონასტრისაკენ მომლოცველთა მსვლელობა დაისის ფონზე; ჩამავალი მზის სხივი ეფინებოდა ჩვენს წინ აღმართულ ჯვრის მონასტერს, წინ მიგვიძღვოდა ჯვარი, რომელიც თითოეული ჩვენგანის ჯვარი იყო. და ამ დროს ცის კაბადონზე გამოისახა იესოს ხატება, რომ-

ლისკენაც მიყვავდით სინოდის გზას“.

ჯემალ დათაშვილი (სიზაბავრის იესოს უწმიდესი გულის ტაძრის სამრევლო, ასპინძა):
„უამრავ შეხვედრაში მაქვს მიღებული მონაწილეობა, მაგრამ მინდა ვაღიარო, რომ ეს სინოდური კრება ძალიან განსხვავებული და შთამბეჭდავი იყო, ამ შეხვედრამ



კიდეე ერთხელ დამარწმუნა, თუ როგორი ცხოვრებით უნდა ვიცხოვროთ ქრისტიანებმა. მადლობა მეუფესა და ორგანიზატორებს“.

ლონდა ლეკიშვილი (სიზაბავრის იესოს უწმიდესი გულის

ტაძრის სამრევლო, ასპინძა): „ვფიქრობ, პასუხი გაეცა ყველა იმ კითხვას, რაც სინამდვილეში აწუხებდა საქართველოში კათოლიკე საზოგადოებას და რაღაც მიზეზის გამო არ, ან ვერ ასაჯაროებდა აქამდე“.

მ. მიხეილ სურმავა (ვალეს წმ. ღვთისმშობლის შობის ტაძრის წინამძღვარი, ახალციხე): „ეს იყო ლამაზი, ემოციურად დატვირთული და შინაარსიანი სინოდური კრება, სულიერი ვარჯიშები სამრევლოს წარმომადგენელთათვის, მომლოცველობა მცხეთის ჯვრის მონასტერის მიმართულებით, ადგილი, რომელიც წმ. ნინოს უკავშირდება. ამ მომლოცველობის კულმინაციად იქცა საქართველოში ქრისტიანობის ერთ-ერთ სიმბოლოსთან, ჯვრის მონასტერთან მიახლება, რამაც ყველას ქრისტიანული ეკლესიის ერთიანობის განცდა მოგვანიჭა“.

გოჩა ბარნოვი, თეოლოგი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პროფესორი: „ჩემი პირველი მონაწილეობა საქართველოს კათოლიკეთა სინოდურ შეხვედრაზე და დაუვინყარი შთაბეჭდილება; საინტერესო და თბილი საღამო, ყურადღებიანი ადამიანები, მეგობრული დიალოგი და, რაც მთავარია, სიყვარული, რაც ყველაზე მეტად გვაკლია და გვჭირდება. უღრმესი მადლობა; ყველა მიყვარხართ; ყველას მშვიდობასა და წარმატებას გისურვებთ. მომავალ შეხვედრამდე“.

ლალი ჩარკვიანი (INER Georgia, ქუთაისი): „სინოდური შეხვედრა, თავისი მთლიანობით, ნამდვილად შთაბეჭდავი გამოცდილება იყო იმ კუთხით, რომ ვყოფილიყავი ჩემს კათოლიკე და-ძმებთან ერთად, გამეგო მათი სიხარული და წუხილი, ახლებურად დამენახა წმიდანობის არსი

და მიმელო ღვთის განსაკუთრებული კურთხევა. შემეცნებითი და კონსტრუქციული იყო სესიები, სადაც არაერთმა საინტერესო წინადადებამ გაიჟღერა სამომავლოდ ჩვენი ეკლესიის ცხოვრებისათვის. დასამახსოვრებელი იყო ჯვრის გზაზე მომლოცველობა, სადაც კიდევ უფრო ძლიერად შევიგრძენი ჩვენი ერთობა, ღოცვისა და მედიტაციის თანხლებით“.

თენგიზ პარმაქსიზიშვილი (სულწინამდინის ტაძრის სამრევლო, ბათუმი): „სინოდის კრებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, სინამდვილე არ არის ოდენ სარწმუნოებისათვის თავგანწირვა, სინამდვილე ყოველმა ქრისტიანმა თავისი ცხოვრებით უნდა აჩვენოს. ბატონების, ემზარ ჯგერენაიას, გოჩა ბარნოვის, ნუგზარ ბარდაველიძისა და მამა პაატას გამოსვლებმა კიდევ უფრო დახვეწეს და გასაგები გახადეს ეს მოწოდება. ჯვრის მონასტრისაკენ მომლოცველობამ კიდევ უფრო გაამდიდრა ჩვენი სულიერება. საღამოს გამართულ აზრთა გაზიარებებიდან განსაკუთრებით ყურადსაღები იყო ბატონ ლევან ბეგიშვილის მოსაზრება, მე-20 საუკუნის გამოჩენილ ქართველ კათოლიკეთა ღვანლიდან გამომდინარე, დაწყებულიყო მზადება ნეტარად შერაცხვისათვის, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს საქართველოში კათოლიკე ეკლესიის

როლს“.

სამუელ იაჟიანი (წმიდა სტეფანეს ტაძრის სამრევლო, ოზურგეთი): „წლევანდელმა სინოდურმა კრებამ საკმაოდ ნაყოფიერად ჩაიარა, ვინაიდან ზუსტად სინოდმა მაჩვენა გამოწვევებით აღსავსე ის გზა, რომელიც უნდა გაიარო სინამდვილე. ვფიქრობ, სინოდური კრება მნიშვნელოვან როლს ასრულებს რწმენის გაღრმავებასა და გაღვივებაში, განსაკუთრებით კი პანდემიის პერიოდის სიძნელეებისა და დაბრკოლებების გადალახვაში. ძალიან დიდ მადლობას მოვახსენებ შეხვედრის ორგანიზატორებს, სტუმრებს, მოწვეულ პროფესორებს და ჩვენს ეპისკოპოსს, მეუფე ჯუზეპე პაზოტოს“.

თინიკო მათოშვილი (არლის წმიდა იოსების სამრევლო): „სინოდური კრება კარგად იყო ორგანიზებული. ვფიქრობ, უკეთესი იქნება, თუ წლის მანძილზე ორჯერ შეიკრიბება ყველა სამრევლოს წარმომადგენელი და გაუზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. ერთად უფრო ძლიერები ვიქნებით რწმენაში“.

ლევან ბეგიშვილი (ქუთაისი): „ჩემთვის წმიდანობა ჩემი ოჯახიდან იწყება, რომელსაც ჩემს ეკლესიასთან და საკრებულოსთან ერთობაში მოვიზარებ, ამიტომ მიმაჩნია, რომ ჩვენმა მამებმა უნდა იზრუნონ



რწმენის გაძლიერებაზე სწორედ ოჯახში, რომელიც დღეს დიდი გამოწვევების წინაშე დგას. ამასთან, მოხარული ვარ, რომ განვლილ სინოდზე დავინახე ახალგაზრდათა გაზრდილი როლი და აქტიურობა, რაც ერთგვარ იმედს გვისახავს ჩენი ეკლესიის მომავლისათვის“.

გულნაზ კალაიჯიშვილი (ხიზაბავრის იესოს უწმიდესი გულის ტაძრის სამრევლო): „მადლობელი ვარ უფლისა, რომ მონიჭა ბედნიერება და ღირსი გამხადა, საქართველოს კათოლიკე ეკლესიის სინოდში მიმელო მონაწილეობა. მხოლოდ ღვთის შემწეობით შეგვიძლია გავხედეთ წმიდანის საქართველოში. სინოდში მონაწილეობით დავრწმუნდი, რომ პეტრეს კლდეზე დაფუძნებული ეკლესია უსაზღვროდ მტკიცე და მყარია, რადგან მას კაცობრიობის სიყვარული უდევს საფუძვლად, მასში არასოდეს გაგიცრუვდება იმედი“.

შორენა პარუნაშვილი (სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტი): „წლევანდელმა შეხვედრამაც ერთი იდეის ქვეშ გაგვაერთიანა სამრევ-

ლოების, კათოლიკური ორგანიზაციებისა და სასულიერო ორდენების წარმომადგენლები; ეს შეუძლებელი იყო არ გეგრძნო წეროვანში, მომლოცველთა სახლში შესვლისთანავე, სადაც ჩემი ყურადღება მიიპყრო ფერად ფურცლებზე ამობეჭდილმა და ხელით შევსებულმა კითხვარებმა, რომლებიც საქართველოს რუკას ქმნიდნენ. საინტერესო იყო ჯვრის მონასტრის გზაზე ჯვრით მომლოცველობა, შეჩერებებითა და გამოცდილებების გაზიარებით. ამ შეხვედრამ უფრო მეტად დამაფიქრა ჩემს ცხოვრებაზე, აუცილებლად ვიფიქრებ იმ ადამიანთა გამოცდილებაზე, რომლებმაც თავიანთი კეთილი საქმეებით უკეთესობისაკენ შეცვალეს სხვათა ცხოვრება და იმაზე, თუ რისი გაკეთება შემიძლია მე, ერთ რიგით ქრისტიანს, სხვისი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის“.

მამა პაატა ქომოშვილი, თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძრის მღვდელმსახური: ...სინოდის ემბლემა იყო - „მე და შენ“... სინოდის გზაა შენ და მე (ეს ხაზს უსვამს მიძ-

ღვნასა და ეგოიზმის დაძლევა). ჩვენ მოწოდებულნი ვართ, ვიყოთ არა თეორეტიკოსები, არამედ ყოველდღიური ცხოვრების გმირები, ანუ ქრისტეს თვალები, ყურები, ხელები, ფეხები, გული, ფიქრები, რაც ქრისტეთი შემოსვასა და მის ნამდვილ შვილობას აღნიშნავს (ნათლისღებიდან მოყოლებული), და მეტიც - „მე უკვე აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში“ (გალ. 2, 20). მაშ, წინ ღვთივშემოსილობისაკენ!

P.S. ჩვენ ყოველი სამრევლოს წარმომადგენელს დაეუკავშირდით და ვთხოვეთ, გაეზიარებინათ სინოდურ შეხვედრაში უშუალო მონაწილეობით მიღებული თავიანთი ემოციები და შთაბეჭდილებები. სამწუხაროდ, ყველამ ვერ მოახერხა ეს. საქართველოში გამომავალი ერთადერთი კათოლიკური გამოცემის, „საბას“ სარედაქციო საბჭოს სახელით, გვსურს, მადლობა გადავუხადოთ ყველას, ვინც გამოეხმაურა თხოვნას, ყველასთვის გაეცნო სინოდური კრებით მიღებული განცდები.



რუსთავის ღვთაებრივი გულმონყადების ტაძრის ზეიმი



5 ოქტომბერს კათოლიკური სამყარო ღვთაებრივი გულმონყალების დღეს აღნიშნავს. ამ დღესასწაულის დაარსება უკავშირდება მე-20 საუკუნის ერთ-ერთ წმიდანს, მონაზონ ფაუსტინა კოვალსკას. წელს მისი კანონიზაციის 40 წელი შესრულდა. ამ ორი წლის წინ აგებული რუსთავის ტაძარი სწორედ ღვთაებრივი გულმონყალების სახელზე ეკურთხა. მართალია, ის ყველაზე ახალია სამხრეთ კავკასიის კათოლიკურ ტაძრებს შორის, მაგრამ მას იმდენი სიწმინდე, სიმბოლური ნიშანი და ტრადიცია უკავშირდება, რომ თამამად შეიძლება ითქვას, ეს პატარა, კოხტა, განსაკუთრებული არქიტექტურის ტაძარი აშკარად გამორჩეულია ჩვენი რეგიონის ტაძართა შორის. თუმცა პაპი ფრანცისკე ვერ ესტუმრა რუსთავის ტაძარს იმ უბრალო მიზეზით, რომ მაშინ მისი აგება, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ხელოვნური ბარიერების შექმნის გამო, ჯერ არ იყო დაწყებული, მაგრამ პაპის კურთხევა

და სიმბოლური თანყოფნა ტაძრის საკუთხეველის, კარიბჭის, კათედრის სახით ყოველ მნახველს ახსენებს თავს. სიმბოლურია საკურთხეველის კედელი, სადაც მოზაიკურად არის გამოხატული საქართველოს ყველა კათოლიკური ტაძარი, რაც სრულიად საქართველოს კათოლიკე ეკლესიის ერთიანობას უსვამს ხაზს. ქალაქ რუსთავის კათოლიკე მრევლის დიდი ნაწილიც ხომ წარმოშობით საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან არის, ისინი საკუთარი მშობლიური კუთხის სიტბოს მუდმივად გრძნობენ ამ ახალ ტაძარშიც.

მზრუნველი მრევლისა და წინამძღვრის ხელში ღვთაებრივი გულმონყალების ტაძარი მუდმივად მშვენდება, მისი კარი ღიაა მრავალეროვანი რუსთავის ყველა მორწმუნისათვის; რუსთავის სამრევლო განსაკუთრებული მონდომებითა და პასუხისმგებლობით ემზადება ტაძრის კურთხევის დღის საზეიმო აღნიშვნისათვის; ამ დღეს მთელი საქართველოდან ჩამოდის მრავალრიცხოვანი სტუმარი. დედა ტერეზას მონყალების ორდენის თბილისის მისიის დების ინიციატივით ჩამოყალიბდა ღვთაებრივი გულმონყალების დღისადმი მიძღვნილი მომლოცველობის ტრადიცია. 5 ოქტომბერს თბილისიდან რუსთავის ტაძრამდე მომლოცველები ფეხით გადიან 24 კილომეტრიან მანძილს. წელსაც, მზის ამოსვლისას, მამა ზურაბმა აკურთხა მომლოცველები, ეპისკოპოსი კი საკათედრო ტაძრიდან ველოსიპედით მომლოცველებს ჩაუდგა სათავეში.

ტაძრის კურთხევის მეორე წელი საზეიმო ვითარებაში აღინიშნა. 13 საათზე დაიწყო მსახურება, ტაძრის წინამძღვარი მამა ზურაბი მიესალმა ეპისკოპოსს და საზეიმო მსახურებაში მონაწილეობის მისაღებად ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მობრძანებულ მღვდელმსახურებსა და სამრევლოების წარმომადგენლებს, ყველა სტუმარს, ვინც გაიზიარა რუსთაველ კათოლიკეთა სიხარული. წირვის დასასრულს, ეპისკოპოსმა მადლობა გადაუხადა საზეიმო მსახურებაში მონაწილე სტუმრებს, ევროპული საქართველოს წარმომადგენლებს: პარლამენტის წევრს და რუსთავის მაჟორიტარ კანდიდატს, ირმა ნადირაშვილს, საქართველოს პარლამენტის თანამშრომელსა და დეპუტატობის პროპორციულ კანდიდატს, მარიამ რამინაშვილს. ევროპული საქართველოს ლიდერები მუდმივად ესწრებიან კათოლიკე ეკლესიის დღესასწაულებს და ამით თავიანთ თანადგომას გამოხატავენ რელიგიური უმცირესობების, კონკრეტულად კი კათოლიკე ეკლესიის მიმართ. ამ მხრივ, რუსთავის ტაძრის ზეიმი გამონაკლისი არ ყოფილა.



მედიის როლი ეკლესიაში

მასმედიის როლის ზრდა უკვე მე-19 საუკუნიდან საკმაოდ თვალნათელი ხდება, მე-20 საუკუნიდან ადამიანებზე ძალაუფლება ჰქონდა მას, ვინც ფლობდა კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებს, 21 საუკუნეში მედიამ მთელი მსოფლიო და ყოველი ადამიანი მოიცვა. ეკლესია ყოველთვის პირველობდა ადამიანებთან სოციალური კონტაქტების დამყარებაში. ასე იყო მოციქულების დროს, როდესაც ზეპირი ქადაგება წარმოადგენდა კომუნიკაციის საუკეთესო ფორმას, ასე იყო მაშინაც, როდესაც ხუთნახევარი საუკუნის წინ გუტენბერგმა პირველი ნაბეჭდი წიგნების გამოცემა დაიწყო. ინტერნეტისა და სოციალური ქსელების ეპოქაში კათოლიკე და პროტესტანტული ეკლესიები, მუსლიმები და იუდეველები ფართოდ იყენებენ კომუნიკაციის უახლეს საშუალებებს და ეს ყოველდღიური ყოფის განუხრელ ნაწილად წარმოგვიდგება. მისასალმებელია, რომ საქართველოში მოქმედი ლათინური წესის კათოლიკეთა შედარებით მცირე თემი დროულად და მიზანდასახულად ფებს უწყობს თანამედროვე გამოწვევებს. ახალციხეში, მამა მიხეილ სურმაგას ინიციატივითა და ძალისხმევით, მოქმედებს საინფორმაციო კომპანია „სა-

ბამედია“. კათოლიკე ეკლესიის მედიამ გამოსვლისთანავე დაიმსახურა კათოლიკეთა და, ზოგადად, ქრისტიანული თემატიკით დაინტერესებული ადამიანების ყურადღება საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. „საბამედიას“, რომლის აქტიური საქმიანობა მხოლოდ რამდენიმე თვეს ითვლის, უკვე 2500-ზე მეტი გამომწერი ჰყავს. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ „საბამედიას“ გარდა წლებია სხვა კათოლიკური პლატფორმები არსებობს, ამიტომაც დრომ მოიტანა მედიაპოლიტიკის ერთი საერთო სტრატეგიის დასახვა და სისტემაში მოყვანა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა სამხრეთ კავკასიის სამოციქულო ადმინისტრატორის, ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს მიერ დაგეგმილი მედიაკომუნიკაციებთან დაკავშირებული კათოლიკე მღვდელმსახურებისა და საერო პირების სამუშაო შეხვედრა, რომელიც 30 ოქტომბერს ნეროვანის სულიერების ცენტრში ჩატარდა.

შეხვედრა გაიხსნა ლოცვით, რის შემდეგ ეპისკოპოსი მიესალმა მონაწილეებს და საინფორმაციო განმარტება გააკეთა, თუ რა დატვირთვა ენიჭებოდა მედიაურთიერთობებისადმი მიძღვნილ ამ ფორუმს. შემდგომ დამსწრეთა წინაშე მოხსენებით გამოვიდა ტაბულას რედაქტორი

ლევან სუთიძე. შეხვედრის მეორე ნაწილი კი მთლიანად საქართველოს კათოლიკე ეკლესიასთან არსებულ საინფორმაციო ცენტრ „საბამედიას“ წარმომადგენლებს დაეთმო. შეხვედრაში მონაწილეობდნენ როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკური სადეკანოების მღვდელმსახურები და ჩვენს ქვეყანაში მოქმედი სასულიერო ორდენების წარმომადგენელი მღვდელ-მონაზვნები, ასევე, კათოლიკე ეკლესიასთან დაკავშირებული ორგანიზაციების, „საქართველოს კარიტასისა“ და INER Georgia-ს ხელმძღვანელი მუშაკები, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორი. შეხვედრას ესწრებოდა და მონაწილეებს მიესალმა მისი აღმატებულება წმინდა საყდრის დესპანი საქართველოსა და სომხეთში, არქიეპისკოპოსი ჟოზე აველინო ბეტენკური. მაღალი რანგის სტუმარმა დადებითად შეაფასა, დროული და საჭირო უწოდა საქართველოში კათოლიკე ეკლესიის მხრიდან მედიის საქმიანობის დახვეწასა და მიზანდასახულ აქტიურობას და გამოთქვა მზაობა სათანადო მხარდაჭერის გამოჩენისა.

მსგავსი ღონისძიება პირველად ჩატარდა და უნდა ვივარაუდოთ, რომ, მისი აქტუალობიდან გამომდინარე, ფართო რეზონანსი და აქტიური გაგრძელება ექნება.



ლოცვა - გზა სინმიდისაკენ პაპი ფრანცისკე: დაე, გვასწავლონ წმიდანებმა



მამა მიხეილ სურმავა

თუმცა ცხადია, მაგრამ შეგახსენებთ, რომ სინმინდე მდგომარეობს ღვთისადმი დაუღალავ გახსნილობაში, რაც გამოხატულია ლოცვასა და თაყვანისცემაში. სწორედ ლოცვის სულითა და ღმერთთან ურთიერთობის მოთხოვნილებით გამოირჩევიან წმიდანები. მათ შეუძლიათ, საზრუნავსა და მოვალეობას შორის, დაივინყონ საკუთარი თავი და მიეცენ უფლის განდიდებასა და ჭვრეტას. მე არ მწამს სინმინდის ლოცვის გარეშე, თუმცა სრულებით არაა სავალდებულო, რომ ის იყოს ხანგრძლივი და მეტისმეტად ემოციური.

სწრაფვა ღვთისაკენ

წმიდა იოანე ჯვრისა გვიჩვენებს: „ყოველთვის ეცადეთ იმყოფებოდეთ ღმერთთან - რეალურ, წარმოსახვით თუ ერთდროულად ორივე საშუალების გამოყენებით, - რამდენადაც ეს შესაძლებელია თქვენს მდგომარეობაში“. არსობრივად, ესაა სურვილი რაიმე სახით ღმერთის გამუდმებით გამოვლინებისა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში: „შეეცადეთ, განუწყვეტლივ ილოცოთ, არ შეწყვიტოთ ლოცვა ფიზიკური შრომის დროსაც. ჭამთ, სვამთ, საუბრობთ თუ სხვა რამეს აკეთებთ, მუდამ ისწრაფეთ ღვთისაკენ და მთელი გულით მიენ-

დეთ მას.“ ამისთვის აუცილებელია მხოლოდ ღვთისადმი მიძღვნილი და მასთან განმარტოებით გატარებული დრო. წმიდა ტერეზა ავილელისთვის ლოცვა იყო „მეგობრობის შენარჩუნება, ხშირად განმარტოება მასთან, ვისაც, როგორც ვიცით, ვუყვარვართ“. მსურს ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეს მართებულია არა მხოლოდ რამდენიმე პრივილეგირებული ადამიანისათვის, არამედ ყველასთვის, რადგანაც „ჩვენ, ყველა, ვსაჭიროებთ ისეთ მდუმარებას, რომელიც აღსავსეა მოკრძალებული თანყოფნის გრძნობით“. ნდობით სავსე ლოცვა პასუხია გულისა, რომელიც გახსნილია ღმერთთან პირისპირ შეხვედრისათვის მშვიდსა და მყუდრო გარემოში, სადაც შეიძლება გაიგონო უფლის ალერსიანი ხმა. ამ მდუმარებაში, სული წმიდის ნათლის შუქზე, შესაძლებელია გავარჩიოთ სინძინდის გზები, რომელიც უფალმა შემოგვთავაზა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი ყველა გადაწყვეტილება შეიძლება აღმოჩნდეს მხოლოდ „დეკორაცია“, რაც, ჩვენს ცხოვრებაში სახარების განდიდების ნაცვლად, მალავს ან ახშობს მას. ყოველი მოწაფე აუცილებლად უნდა იმყოფებოდეს მოძღვართან, უსმენდეს მას, სწავლობდეს მისგან, სწავლობდეს მუდამ. თუ არ მოვუსმენთ, ჩვენი ყოველი სიტყვა, საუბარი მხოლოდ უსარგებლო იქნება.

მდუმარებაში

გავიხსენოთ ისიც, რომ „სწორედ მკვდარი და აღმდგარი ქრისტეს სახის ჭვრეტა აღადგენს ჩვენს ადამიანურ არსებას, ცხოვრების ტვირთით დაკოდილს ან ცოდვით დაბინდულს. არ შეიძლება დავაკნინოთ ქრისტეს სახეების ძალა“. ამიტომ გავხედავ კკითხვით: ყოფილა კი თქვენს ცხოვრებაში წუთები, უსიტყვოდ, უშფოთველად რომ დაგიყვიათ უფალთან, ნება დაგირთავთ, გაეთბეთ თავისი მზერით? მისცემთ კი ნებას, თავისი სიყვარულის ცეცხლით აღანთოს თქვენი გული? თუ მას თქვენი მგზნებარე სიყვარულისა და სინაზის გაღვივების ნებას არ მისცემთ, თქვენში არ იქნება ცეცხლი. მაშინ როგორ შეძლებთ აღანთოთ სხვისი გული თქვენი სიტყვითა და მოწმეობით? თუ ქრისტეს სახის ჭვრეტისას ვერ შეძელით გახსნილიყავით მისი განმკურნებელი და გარდამქმნელი მადლისადმი, მაშინ შეაღწიეთ უფლის გულში, მის ჭრილობებში, რადგან მასში ღვთაებრივი გულმონყალების შუაგულია. გთხოვთ, მდუმარებაში ყოფნა ლოცვისას არ აღიქვათ, როგორც გაქცევა, როგორც თქვენი გარემომცველი სამყაროს უარყოფა. მოგზაური, რომელიც განუწყვეტლივ ლოცულობდა გზად, გვიამბობს, რომ ლოცვა არ ამორებდა მას გარე სამყაროს: „როცა ადამიანებს ვხვდებოდი, მეჩვენებოდა, რომ ყველა ისე გულითადად მეგებებოდა, თითქოს ჩემი ოჯახის წევრები ყოფილიყვნენ (...). სულის სიღრმემდე ბედნიერებით ვიყავი მოცული, და გარე სამყაროც არაჩვეულებრივი მეჩვენებოდა“ („მოგზაურის გულწრფელი ნაამბობი სულიერი მამისადმი“ – XIX საუკუნის ნაწარმოები ვინმე მოგზაური მომლოცველის შესახებ, რომელიც მოგზაურობდა იესოსადმი ლოცვით..).

ხსოვნა

წარსული არ ქრება. ამიტომ ლოცვა ყოველთვის დაკავშირებული უნდა იყოს მადლიერ ხსოვნასთან. ღვთის საქმეთა შესახებ ხსოვნას საფუძვლად უდევს ღმერთსა და მის ხალხს შორის კავშირი. უფალმა ისტორიაში შემოსვლა ისურვა, ამიტომაცაა ლოცვა





მოგონებათაგან შემდგარი. არა მხოლოდ გაცხადებული სიტყვის, არამედ საკუთარი ცხოვრების, სხვათა ცხოვრებისა და თავის ეკლესიაში უფლის მოქმედების შესახებ მოგონებათაგან. სწორედ ამ მაღლიერი ხსოვნის შესახებ საუბრობს წმიდა ეგნატე ლოიოლა თავის „სულიერ წვრთნებში“, რომლის შედეგია „ჭვრეტა სიყვარულის მისაღწევად“, როდესაც გვთხოვს გავიხსენოთ ყველა ის მაღლი, რაც მივიღეთ უფლისაგან. ლოცვისას გადახედეთ თქვენს ისტორიას, რაოდენ წყალობას აღმოაჩენთ მასში! ეს, ამავედროულად, გააღრმავებს იმის შეგნებას, რომ უფალს ყოველთვის ახსოვხართ და არასდროს დაგივიწყებთ. ამიტომ შევედრეთ მას, სინათლე მოჰფინოს თქვენი ცხოვრების უმცირეს დეტალებსაც კი, რომელიც არ გამოეპარება მის მზერას.

მფარველობა

მფარველობისთვის ლოცვა ძახილია გულისა, რომელიც ესავს ღმერთს და შეიცნობს, რომ მის გარეშე ადამიანი უძლურია. ღვთის ერთგული ხალხის ცხოვრებაში გვხვდება მრავალი ლოცვა, რწმენით, სინაზითა და ღრმა ნდობით აღსავსე. უნდა დავაფასოთ სავედრებელი ლოცვა, რომელიც მუდამ ამშვიდებს გულს და გვეხმარება იმედით გავაგრძელოთ ბრძოლა. მფარველობისათვის ლოცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს არის ღვთისადმი ნდობის გამოვლენა და, ამავე დროს, მოყვასისადმი სიყვარულის გამოხატულება. ზოგიერთი, სულიერებისადმი ცალმხრივად მიდგომის გამო, მიიჩნევს, რომ ლოცვა უნდა იყოს მარტოოდენ ღვთის ჭვრეტა, განყენებულად, თითქოს ძმებისა და დების სახელები და სახეები დაბრკოლებას წარმოადგენდეს, რომელსაც თავი უნდა აგარიდოთ. პირიქით, ლოცვა უფრო საამო იქნება ღმერთისთვის და უფრო ნაყოფიერი სიწმინდეში ჩვენი ზრდისათვის, თუკი, მფარველობის წყალობით, ვეცდებით ვიცხოვროთ სიყვარულის ორმაგი მცნებით, რომელიც ქრისტემ დაგვიტოვა. მასში გამოხატულია ძმური ზრუნვა სხვებზე, მათ საჭიროებასა და ოცნებებზე. სწორედ მათ, ვინც გულმოდგინედ ითხოვს მფარველობას, ეხება წმიდა ნერილის სიტყვები: „ესაა ძმათმოყვარე, მარადჟამ ხალხისთვის მლოცველი“ (2 მაკ. 15,14).

სიტყვა და თაყვანისცემა

თუ ნამდვილად ვაღიარებთ, რომ ღმერთი არსებობს, მაშინ შეუძლებელია, რომ თაყვანი არ ვცეთ მოკრძალებით და გალობით არ განვადიდოთ იგი. ასე გამოვხატავთ ნეტარი შარლ დე ფუკოს განცდას, რომელიც ამბობდა: „როგორც კი ვირწმუნე, რომ ღმერთი არსებობს, მაშინვე მიეხვდი, რომ მხოლოდ მისთვის ცხოვრება ძალმიძს“. მოხეტიალე ღვთის ხალხის ცხოვრება ასევე სავსეა თაყვანისცემის უბრალო ნიშნებით. მაგალითად, როდესაც „მომლოცველის მზერა შეჩერდება გამოსახულებაზე, რომელზედაც სიმბოლურადაა ასახული ღმერთის სინაზე და სიახლოვე, სიყვარული გაირინდება და ჭვრეტს საიდუმლოს, რომლითაც ტკება მდუმარებაში.“ სულიერი კითხვა ღვთის სიტყვისა, რომელიც თავლზე ტკბილია (შდრ. ფსალ. 119 (118), 103) და „ყოველგვარ ორლესულ მახვილზე უფრო ბასრი“ (ებრ. 4, 12), საშუალებას გვაძლევს შევეჩერდეთ და ვუსმინოთ მოძღვარს. მაშინ ის ხდება ლამპარი ჩვენი ფეხისთვის და სინათლე - ჩვენი ბილიკისათვის (შდრ. ფსალმ. 119 (118), 105). როგორც ინდოელმა

ეპისკოპოსებმა შეგვახსენეს: „ღვთის სიტყვის თაყვანისცემა არის უბრალოდ სხვა მრავალი თაყვანისცემიდან ერთ-ერთი, ლამაზი, მაგრამ არა სავალდებულო. ის დაკავშირებულია ქრისტიანული ცხოვრების არსსა და იდენტურობასთან. თავად სიტყვას ძალუძს გარდაქმნას ადამიანის ცხოვრება“. წმიდა წერილში იესო ქრისტესთან შეხვედრას მივყავართ ევქარისტიამდე, სადაც ეს სიტყვა აღწევს ცხოველმყოფელობას. ევქარისტიაში ხომ ღვთის სიტყვა ნამდვილად ცოცხლდება. სწორედ აქ მიეგება ჭეშმარიტ ღმერთს უაღრესი პატივი, რაც შეუძლია მისცეს მას ამ სამყარომ, ვინაიდან საკურთხეველზე შეიწირება თავად იესო ქრისტი. როდესაც მას ვეზიარებით, განვაახლებთ მასთან აღთქმას და ჩვენი ცხოვრების უფრო ღრმად გარდაქმნის ნებას ვრთავთ.

გიხაროდენ, მარიამ...

მსურს, რომ ეს ფიქრები დაასრულოს მარიამმა, რადგან იგი, როგორც სხვა არავინ, ცხოვრობდა იესოს ნეტარებების მცნებებით. ის ხარობდა უფალთან ყოფნით, რასაც ისმენდა ღვთისაგან, ყოველივეს ინახავდა გულში და ნება დართო მახვილით განეგმირა იგი. მარიამი - ყოვლადკურთხეული და უწმიდესი წმიდათა შორის, გვიჩვენებს სინმიდის გზას და მუდამ თან გვახლავს. არ გვტოვებს დაცემისას და ზოგჯერ განსჯის გარეშე გვატარებს ხელით. მასთან ურთიერთობა გვამშვიდებს, გვათავისუფლებს და გვაკურთხებს. ჩვენს დედას არ სჭირდება ვრცელი საუბარი, იგი არ მოითხოვს ჩვენგან მომხდარის დანვრილებით ახსნას. საკმარისია მხოლოდ ჩურჩულით წარმოვთქვათ: „გიხაროდენ, მარიამ...“ (Gaudete et Exultate, 147-157.176).

**სწორედ ევქარისტიაში
მიეგება ჭეშმარიტ
ღმერთს უაღრესი
პატივი, რაც შეუძლია
მისცეს მას ამ
სამყარომ, ვინაიდან
საკურთხეველზე
შეიწირება თავად იესო
ქრისტი.**





ეკლესიის სოციალური სწავლებისადმი მიძღვნილი ტრენინგი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, კათოლიკე ეკლესია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საზოგადოების სოციალურ პრობლემებს, რომელსაც ადგილი დაუთმო ვატიკანის მეორე მსოფლიო კრებამ. ეს პრობლემები ყოველმხრივად განხილული ეკლესიის კატეხიზმოში; დამტკიცებულია კათოლიკე ეკლესიის სოციალური დოქტრინაც, რომლის ანალოგიითაც პროტესტანტულმა, შემდგომ კი მართლმადიდებლურმა ეკლესიებმა საკუთარი სოციალური დოქტრინების შემუშავება და სოციალური პროექტების განხორციელება დაიწყეს. ეკლესიის სოციალური სწავლების პოპულარიზაციისათვის აქტიურად არის ჩართული სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, რომლის დაფინანსებით მიმდინარე წელს გამოიცა ირაკლი ჯავახიშვილისა და მარიამ ბაგაურის მიერ მომზადებული „ეკლესიის სოციალური მოძღვრების სახელმძღვანელო“.

2 და 3 ოქტომბერს კი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ორგანიზებით, ჩატარდა ეკლესიის სოციალური

სწავლების ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ კათოლიკური სამრევლოების, „საქართველოს კარიტასისა“ და „ინერ-ჯორჯიას“ სპეციალისტები, ასევე, ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის წარმომადგენლები, საბაუნის პროფესორები და სტუდენტები. ტრენინგი გახსნა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ვაჟა ვარდიძემ, რომელმაც წაიკითხა მოხსენება „ღმერთის ჩანაფიქრი კაცობრიობის მიმართ“. მოხსენების შემდგომ გაიმართა დისკუსია, რომლის დროსაც ყველა მონაწილეს მიეცა საშუალება, გამოეთქვა საკუთარი მოსაზრება, დაესვა მომხსენებლისთვის კითხვები. ტრენინგის სამუშაო დღის მეორე ნახევარი დაეთმო ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს მოხსენებას: „ბიბლიისეული ხედვა ადამიანის შესახებ“. მისმა მაღალყოვლადუფამღვდელოესობამ, ბიბლიის ტექსტებზე დაყრდნობით, წარმოაჩინა ძველი და ახალი აღთქმისეული ხედვა ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობების შესახებ, თუ როგორ გამოავლენს ღმერთის სიდიადე ადამიანის

დიდებულებას.

ტრენინგის მეორე დღე მთლიანად დაეთმო გერმანელი პროფესორის, ლარს შეფერის მოხსენებას, პრეზენტაციასა და წარმოდგენილ თემებთან დაკავშირებულ დისკუსიებს. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მისმა პრეზენტაციამ: „მედია და საზოგადოების კეთილდღეობა სოციალურ სწავლებაში“. ეპიდვითარების გამო ლარს შეფერმა ვერ შეძლო საქართველოში ჩამოსვლა და სკაიპის საშუალებით წარმართა კომუნიკაცია, თავისი გულწრფელი აღტაცება გამოთქვა დისკუსიებში აუდიტორიის აქტიური მონაწილეობის გამო, მადლობა გადაუხადა საბაუნის რექტორს მის მიერ თარჯიმნის როლის შესანიშნავად შეთავსებაში და იმედი გამოთქვა, რომ ტრენინგის შემდგომ მოდულს უკვე უშუალოდ საქართველოდან გაუძღვებოდა. უახლოეს თვეებში დაგეგმილია ტრენინგის მეორე ციკლის ჩატარება, რის შემდეგაც მისი მონაწილეები სპეციალურ სერტიფიკატებს მიიღებენ.

„საბას“ სპეციალური კორესპონდენტი



„წმიდანი...“

წმ. მღვდელმონაძე ნეოფიტე ურბნელი - მოხსენიების დღე - 10 ნოემბერი

წმ. მამა ნეოფიტე, გაქრისტიანებული არაბი, მოღვაწეობდა შიომღვიმის მონასტერში, შემდგომში ურბნისის ეპისკოპოსი გახდა. გაქრისტიანებამდე მისი სახელი იყო უმარი. როდესაც VII საუკუნეში არაბი ამირა მუმნის ბრძანებით სარდალი აჰმადი დიდძალი სპით საქართველოს შემოესია და ისინი შიომღვიმის მონასტერს მიადგნენ, მონასტრის მკვიდრთა თავმდაბლობამ და მოკრძალებულმა ყოფამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ომარზე. ის მიხვდა, რომ უცხო მხედარნი უფლის ანგელოზები იყვნენ, მოხუცებული მონაზონი კი - ამ მონასტრის წინამძღვარი. მან დაუტევა უღმრთოება, მამული, მთავრობა, სიმდიდრე, შიომღვიმის სავანეში მივიდა და მოინათლა. მასთან ერთად ნათელ იღო მისმა ორმა მონამ. ნათლისღების შემდეგ უმარს ნეოფიტე (ახალი ნერგი) დაარქვეს, მის მეგობრებს კი - ქრიტოდულოსი (ქრისტეს მონა) და ქრისტოფოროსი (ქრისტეშემოსილი).

ღვთის განგებით, წმიდა ნეოფიტე მღვდელმთავრად იქნა დადგენილი ურბნისის კათედრაზე. ყველას განაკვირვებდა მისი სიბრძნე და შემართება. მტერმა ვერ მოითმინა სპარსის მოციქულებრივი მოღვაწეობა. მაზდეანებმა გადაწყვიტეს, მოეკლათ ქრისტეს მქადაგებელი მღვდელმთავარი. უსჯულოებმა გამონახეს მარჯვე დრო და სალოცავად განმარტოებულ ნეოფიტეს თავს დაესხნენ. მათ იცოდნენ, რომ წმიდა ნეოფიტე წმიდა სტეფანე პირველმონამის სიკვდილს შენატროდა, ამიტომ გამძვინვარებულმა უსჯულოებმა წმიდანი ქვებით ჩაქოლეს. წმიდა მღვდელმონამის უკანასკნელი სიტყვები იყო: „უფალო იესო ქრისტე, შეივედრე სული ჩემი“.

წმ. სერაპიონ ზარზმელი - მოხსენიების დღე - 11 ნოემბერი

წმიდა სერაპიონი (IX) წარმოშობით იყო კლარჯეთიდან, ღირსეული ოჯახიდან. იგი ოპიზის მონასტერში ჯერ ბერად შედგა და შემდეგ მღვდლად ეკურთხა. მან ააშენა ზარზმის მონასტერი და სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა იქ. დაკრძალულია საკურთხევის აღმოსავლეთით. ცნობები სერაპიონ ზარზმელის შესახებ დაცულია მისი ძმისწულის, ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“.

წმ. ასი ათასი წამებული - მოხსენიების დღე - 13 ნოემბერი

თამარ მეფის ასულის, რუსუდანის მეფობის დროს თბილისს ხვარაზმის სულთანი ჯალალედინი შემოესია. მან მთელი ქალაქი ააოხრა, ეკლესია-მონასტრები დაანგრია, ეპისკოპოსები, მღვდლები, მონაზვნები და მორჩილები დაატყვევეს და წამებით მოკლეს, ქაღწულები შეურაცხვეს. მაგრამ მაინც ვერ დამშვიდდა „უკეთური იგი სული მისი“ და ქრისტიანებს უბრძანა, ქრისტეს უარყოფის ნიშნად, ეკლესიიდან გამოტანილ და ხიდზე გადებულ ხატებზე ფეხით გაეეცათ. ტყვეთა უმრავლესობამ დიდი სულიერი სიმტკიცე გამოიჩინა, რის გამოც იქვე სიკვდილით იყვნენ დასჯილები 1227 წელს.

საქართველოში

წმ. იოანე, სტეფანე და ესაია - მოხსენიების დღე - 17 ნოემბერი
წმიდა იოანე, სტეფანე და ესაია ქართველების შესახებ ცნობები მხოლოდ საეკლესიო კალენდარმა შემოგვინახა. როგორც მეცნიერები და მკვლევარები ვარაუდობენ, წმიდანები იერუსალიმში მოღვაწეობდნენ და ქრისტეს საფლავის საპატიო მცველები იყვნენ.

წმ. დიდმონაშე კონსტანტი-კახი - მოხსენიების დღე - 23 ნოემბერი

კონსტანტი-კახი, ქართველი ერისთავი, იბრძოდა არაბი სარდლის, ბულა თურქის წინააღმდეგ. 853 წლის 26 აგვისტოს ის და მისი ძე თარხუჯი არაბებმა შეიპყრეს და კონსტანტი (კოსტანტი) კახი წამებით მოკლეს. ატენის სიონის ერთ-ერთ წარწერაში ის მოხსენიებულია კახაის სახელით. კონსტანტი კახის წამება აღწერილია „კოსტანტი კახის მარტვილობაში“.

წმ. მიქაელ-გობრონი - მოხსენიების დღე - 30 ნოემბერი
წმიდა გობრონი, ქართველი აზნაური, სამხრეთ აზერბაიჯანის მმართველის აბულ კასიმის საქართველოში ლაშქრობის დროს, ხელმძღვანელობდა ყველისციხის დაცვას. იმუამად ყველისციხის მეპატრონე იყო გურგენ ერისთავთ-ერისთავი. ციხე კარგად იყო გამაგრებული, მაგრამ მეციხოვნენი შიგ ცოტანი იყვნენ. მეზობლთა შორის გამოირჩეოდა ნეტარი გობრონი. ოცდარვა დღე გაგრძელდა ბრძოლა. ხან სარკინოზებს მიჰქონდათ იერიში ციხეზე, ხან მეციხოვნენი გამოუხტებოდნენ მტერს გობრონის მეთაურობით, რისხვას დაატეხდნენ მას თავს და კვლავ ციხეს უბრუნდებოდნენ. მტრებმა უკანასკნელი იერიში მიიტანეს ყველისციხეზე, აიღეს იგი და შეიპყრეს ცოცხლად დარჩენილი მეციხოვნენი, მათ შორის, გობრონიც. ქართველი მეომრის ვაჟკაცობით გაცეხებული იყო აბულ-კასიმი. ადარნასე მეფემ დიდძალი საფასი გადაიხადა და პყრობილთა ნაწილი გამოიხსნა. მათ შორის არ იყო გობრონი, რადგან არაბებმა მის გათავისუფლებაზე უარი განაცხადეს. სარკინოზებმა დასასჯელად გაიყვანეს გობრონიდან ერთად შეპყრობილი ას ოცდაცამეტი მხედარი. აბულ-კასიმმა გადაწყვიტა, უძლეველი რაინდი ცთუნებით ეძლია და ნეტარ გობრონს ქრისტეს უარყოფა მოსთხოვა, სამაგიეროდ სარდლობას, სასახლეებს, დარბაზებს და მონებს შეჰპირდა; მაგრამ ვერაფრით გატეხა წმიდანი. მაშინ ცოცხლად გადარჩენილ მოყვასთა შორის დააყენეს და უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა დაიწყო. დახოცილთა სისხლი ეპკურებოდა გობრონს, გვამები ფეხებთან უგორდებოდა, მაგრამ საშინელებამ ვერ შეაძრწუნა მისი გული. მაშინ ქედი გადაუდრიკეს წმიდანს, ორგზის სცეს მახვილი და მსუბუქად დაჭრეს. გობრონმა სისხლით ჯვარი გამოისახა შუბლზე და მადლი შესწირა უფალს. მოთმინებადაკარგულმა აბულ-კასიმმა ბრძანა, თავი წარეკვეთათ წმიდანისთვის და მოკლულებთან დაეგდოთ. ამირას ბრძანებით სამი დიდი საფლავი გათხარეს, მონამეთა გვამები შიგ ჩაყარეს, მიწა მიაყარეს და ქრისტიანებს მათთან მიახლოება აუკრძალეს. საფლავებს ღამლამოხით ზეციური ნათელი ადგებოდა. ქართულმა ეკლესიამ იგი მიქაელის სახელით წმიდანად შერაცხა. გობრონის გმირობა ასახულია ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში.



კათოლიკე ეკლესია საქართველოში

(საბჭოთა პერიოდი 1921-1991)

გარდამავალი პერიოდის სირთულეები (1987-1990)

1987 წლიდან მორწმუნეთა გააქტიურება იწყება. სოფლის მორწმუნეები განცხადებებით მიმართავენ ხელისუფლებას ყველა მოქმედი საკრებულოს რეგისტრაციის შესახებ. ადგილობრივი ხელისუფლება ერთგვარი სიფრთხილით ეკიდება ამ განცხადებებს და სამოქმედოდ „დროის გაყვანის“ ტაქტიკას ირჩევს. ამასთანავე, თავი იჩინა ერთმა სერიოზულმა პრობლემამაც: კათოლიკე მღვდელმსახურები, რომლებიც მორწმუნეებს უნდა მოეწვიათ მათთვის გადაცემულ ტაძრებში, ფიზიკურად არ არსებობდნენ. კანონმდებლობით, ერთ რაიონში რეგისტრირებულ მღვდელმსახურს არ ჰქონდა უფლება საკულტო საქმიანობა სხვა რაიონში აღესრულებინა. დაიწყო მღვდლებზე მოთხოვნა. საბჭოთა კავშირში მოქმედი სემინარიები, იმდროინდელი სემინარისტების რაოდენობის გათვალისწინებით, ვერანაირად ვერ დააკმაყოფილებდნენ ერთბაშად გაჩენილ ვაკანსიებს. გაუთვითცნობიერებისა და ზედაპირულად მიდგომის პრობლემამ იჩინა თავი. ათეისტურ გარემოში აღზრდილი ადგილობრივი ხელმძღვანელობა კონფესიურ განსხვავებულობასა და თავისებურობებს ვერ უმკლავდებოდა. ამასობაში, ძალიან მომძლავრდა და გააქტიურდა მართლმადიდებელი სასულიერო ფენა და მრევლი. პლურალიზმის დეფიციტით, საბჭოური მონოიდეოლოგიითა თუ მონოპარტიულობით აღზრდილ თაობას გულწრფელად სჯეროდა, რომ საქართველოს

ყველა მოქალაქეს ერთი კონფესიის წიაღში მოაქცევდა. ამ მიზნით, კათოლიკე მორწმუნეების გადმოხიზვასა და მათზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებასაც ჰქონდა ადგილი. ნაციონალური იდეით შეპყრობილების ერთ-ერთი ღოზუნგი გახლდათ - „ერთი ერი, ერთი აღმსარებლობა“.

1989 წლის აპრილის ანტისაბჭოთა გამოსვლების აზვირთების ფონზე, კიდევ ერთ სერიოზულ ბარიერად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების განწყობა იქცა. სახელისუფლო და პარტიული ლიდერები მიაბიჭურად ფიქრობდნენ, რომ თუ დომინანტურ ეკლესიას გადასცემდნენ კათოლიკეთა სატაძრო ნაგებობებს, ამით ეროვნული მოძრაობაც მოიგებდა. შედეგი კი სავალალო აღმოჩნდა - მორწმუნეთა შორის უნდობლობა და დაპირისპირება. მაგალითისთვის: კათოლიკური მისია ქ. გორში XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან მუდმივად ფუნქციონირებდა. 1829 წელს მისიამ ახალი ტაძარი ააგო, რომელიც 1937 წელს მორწმუნეებს ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩამოართვა. უტაძროდ დარჩენილი მორწმუნეები ფარულად იკრიბებოდნენ ბინებში და ზოგჯერ, ასევე ფარულად, თბილისიდან მოძღვარიც სტუმრობდა და აზიარებდა მათ. 1987 წელს გორელმა კათოლიკეებმა რელიგიების საქმეთა საბჭოს განცხადებით მიმართეს. საბჭო არ იყო ფაქტობრივად მოქმედი საკრებულოს რეგისტრაციის წინააღმდეგი, მით უმეტეს, რომ ქალაქში სატაძრო ნაგებობა იყო. რელიგიების საქმეთა საბჭომ რეკომენდაციით მიმართა ქალაქ გორის ხელმძღვანელობას, კათოლიკეთა საკრებულო

რეგისტრაციაში გაეტარებინათ. თავის მხრივ, ადგილობრივი ხელისუფლება კათოლიკეთა დაშინებით ცდილობდა, რომ მათ რეგისტრაციაზე უარი ეთქვათ. საკითხის განხილვა კარგა ხანს გააჭიანურეს, ამასობაში მართლმადიდებელმა მრევლმაც საკრებულოს რეგისტრაცია მოითხოვა და კათოლიკეთა ტაძარი ხელისუფლებამაც მათ მიაკუთვნა. ანალოგიური ვითარება შეიქმნა ქალაქ ქუთაისსა და ბათუმშიც. ქუთაისის საქალაქო საბჭომ, ქალაქში მართლმადიდებელი პატრიარქის ვიზიტის დროს, მართლმადიდებელ მრევლს კათოლიკური ტაძრის მთელი კომპლექსი გადასცა.


1980-იანი წლების ბოლოს წელს, მაგრამ წარმეული ტაძრების დაბრუნების პროცესი მაინც დაიწყო. განხორციელდა სოფელ ტურცხის (1989), არლის (1989), ხიზაბავრის და კიდევ რამდენიმე სომხურ-კათოლიკური ტაძრის დაბრუნება კათოლიკეებისათვის. 1989 წელს მრევლს დაბა ვალეს კათოლიკური ტაძარი გადაეცა. 1990 წელს რელიგიების საბჭომ რეგისტრაციაში გაატარა სოფ. ივლიტას ტაძარი, რაც განსაკუთრებული შემთხვევაა. ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ რელიგიური საკრებულოს სამუქალბით შესრულებული ერთ-ერთი ბოლო, ოფიციალური რეგისტრაცია. საქართველო, 1990-იანი წლების დასაწყისში, ანტისაბჭოური გამოსვლების გააქტიურებით, ფაქტობრივად, საბჭოთა სამართლებრივი სივრციდან გამოვიდა. 1991 წელს იმჟამინდელი პოლიტიკური განწყობილებების ფეხის ხმას აყოლილმა მოსახლეობამ სოფელ ივლიტაში საკმაოდ კურიოზული

გადაწყვეტილება მიიღო. მოხდა ასეთი ფაქტი: მეზობელი სოფლის მღვდელი იოსებ კორნაშევსკი პერიოდულად ივლიტას ტაძარში ატარებდა წირვა-ლოცვებს. ჩატარდა სოფლის კრება, სადაც იმ დროისათვის რელიგიურ-კონფესიური თვალსაზრისით გაუთვითცნობიერებელმა და გულუბრყვილო ადამიანებმა, რომლებსაც მართლაც სჯეროდათ თავისი ნოვაციის წარმატებისა, დაადგინეს, რომ სანამ სოფელს პერსონალურად არ ეყოლე-

ბოდა ქართველი მღვდელი, მანამ დროებით ღვთისმსახურება მართლმადიდებელ მღვდელს აღესრულებინა. დღეს კათოლიკე მორწმუნეებს აქვთ საშუალება, იქ კათოლიკური წესით ილოცონ, ოღონდ მღვდლის გარეშე. მთელ სამხრეთ კავკასიაში ეს მართლაც უნიკალური შემთხვევაა — ივლიტა, ამ მხრივ, განსაკუთრებული ტაძარია.

წუგზარ ბარდაველიძე


ბათუმი



გორი



ქუთაისი



უდა



ივლიტა



წართმეულია!!!

„ნუ ამარიდებ მზერას!“ - ერთად დავამარცხოთ აუტიზმი



პირველად ამ ადამიანების შესახებ სამი წლის წინ გავიგე, როცა ურეკში კამპოსკოლას ვგეგმავდით. ისინი ხანგრძლივი დროით ცხოვრობდნენ საოჯახო სასტუმროში, პარალელურად კი საკუთარ სივრცეს გეგმავდნენ და აშენებდნენ, საკუთარ დასახლებას ქმნიდნენ, ერთიანობით, სოლიდარობით და დიდი საერთო მიზნით, რომ ერთად დამარცხებინათ აუტიზმი. ყაზახეთიდან ჩამოვიდნენ, თითქმის ყველაფერი გაყიდეს, რაც გააჩნდათ, მანამდე კი, გადაწვეს ცხოვრების წესის შეცვლა, რადგან ერთნაირად განსხვავებული შვილები ჰყავთ, საზრუნავიც საერთო აქვთ და იციან, რომ აქ, საქართველოში, სადაც არაჩვეულებრივად თბილი გარემო, ზღვა და მაგნიტური ქვიშაა, სპეციალისტების დახმარებით, შეძლებენ საუკეთესო გამოსავლის პოვნას.

აუტიზმი, რომელიც პირველად პროფესორმა ლეო კანერმა მეორე მსოფლიო ომის დროს დააფიქსირა, გონებრივი მოშლილობაა, ინდივიდი ცხოვრობს მის მიერ შექმნილ არარეალურ სამყაროში. ბავშვთა აუტიზმის განვითარების მიზეზი დღემდე უცნობია და უამრავ, განსხვავებულ ჰიპოთეზას ეყრდნობა, მაგრამ მისთვის დამახასიათებელი

სოციალური, კომუნიკაციური და ქცევითი დარღვევები არაერთ, არამედ მრავალ ნეირონულ სისტემას მოიცავს. არ არსებობს მედიკამენტი, რომელიც თვალსაჩინოდ შეამცირებს აუტიზმთან ასოცირებულ სოციალურ და კომუნიკაციურ სირთულეებთან დაკავშირებულ უნარშეზღუდვებს. აუტიზტ ბავშვს შეიძლება საათები და დღეებიც კი დასჭირდეს იმის ასათვისებლად, დასამახსოვრებლად და ჩვევაში გადაზრდისათვის, რაც სხვა ბავშვისთვის ძალზე იოლია. მათთვის სიახლე ძნელი მისაღებია, იქნებ სწორედ ამიტომ არიან სტერეოტიპულები, იმეორებენ ჩვევებს, ფრაზებს, ვერ თმობენ შერჩეულ სამოსს, საკვებს, სათამაშოს.. ეძებენ თბილ, ალერსიან მზერას და სწორედ მაშინ შეიძლება წამიერად მაინც გაგისწორონ თვალი. ეს მზერა კი გეუბნება, თუკი შენ თავიდანვე მაგრძნო-

ბინებ, რომ მე არაფრის კეთება არ შემიძლია, ვიფიქრებ, რომ ცდას აზრი არა აქვს. დამეხმარე, აღმოვაჩინო ჩემი ძლიერი მხარე და შევძლო ფეხზე დგომა. დამეხმარე, ადრევე დავძლიო ჩემი დროში ჩამორჩენა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოში ადრეული განვითარების ათეულობით ცენტრი ფუნქციონირებს და მნიშვნელოვანია მათი ურთიერთთანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება და გამოსავლის ერთად ძიება.

და ბოლოს, ისევ იმ პატარა სოფლით დავამთავრებ; იმ თორმეტი სახლის თორმეტი პატარა ბინადარი საოცარ პირობებში ცხოვრობს, სადაც მათი სჯერათ და ესმით. მშვიდ გარემოში მზად არიან აუცილებელი სოციალური კომუნიკაციებისათვის. აქვთ ვებერთელა ლამაზი ავტობუსი, რითაც ყველანი ერთად გადაადგილდებიან და ამყარებენ კონტაქტებს. შეძლებისდაგვარად სწავლობენ, უამრავ ღონისძიებას გეგმავენ და ჩვენი მიპატიჟების იმედიც აქვთ. ეს ახალი გამოწვევა, ვინ იცის, ვის კარებზე მიაკაკუნებს... შევძლოთ და მივიღოთ განსხვავებულნი, ჩვენგან სითბოს გარდა რომ არაფერს ითხოვენ.

ნინო ჟღენტაძე



დიდი მეცნიერის გახსენება

გამოჩენილი ქუთაისელი კათოლიკეების საიუბილეო თარიღების აღნიშვნა ჩვენს საკრებულოში ტრადიციად დამკვიდრდა. ქუთაისში დაიბადა ცნობილი ისტორიკოსი, ბიზანტიოლოგი, საბერძნეთის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი, კლასიკური ფილოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი.

პირველ ოქტომბერს მეცნიერის დაბადებიდან 125 წელი შესრულდა. ამ დღეს, მამა გაბრიელე ბრატანტინის ხელმძღვანელობით, ბატონი სიმონის ხსოვნას პატივი მიაგეს კათოლიკური ეკლესიისა და სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლებმა, რომლებიც ყაუხჩიშვილების ყოფილ სახლთან შეიკრიბნენ. შეხვედრას ესწრებოდნენ: ვატიკანის ელჩი საქართველოში არქიეპისკოპოსი ჟოზე აველინო ბეტენკური, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, მამა აკაკი ჭელიძე. მათ ისაუბრეს ს.

ყაუხჩიშვილის დიდ დამსახურებაზე ქართული მეცნიერების წინაშე, სიამაყით გაუსვეს ხაზი ტრადიციულ კათოლიკურ ოჯახში აღზრდილი მეცნიერის საუკეთესო პიროვნულ თვისებებს. როგორც ცნობილია, ბატონი სიმონი მუდამ მოწინებითა და სიყვარულით იხსენიებდა მშობლიურ ქალაქს, სადაც მან ახალგაზრდობის წლები გაატარა. შეკრებილებმა ყვავილების გვირგვინით შეამკეს მემორიალური დაფა. ეკლესიაში გაგრძელებულ შეხვედრაზე ს. ყაუხჩიშვილის ღვაწლის შესახებ ვრცლად ისაუბრა ისტორიკოსმა ლევან ტყეშელაშვილმა. მოგონებებით გამოვიდნენ ეკლესიის მეგობრები, ბატონი ელგუჯა და ქალბატონი ნინო ნემსაძეები, ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი ქალბატონი მარინე სულაქველიძე, მცხოვანი ისტორიკოსი ბატონი გივი გურეშიძე. ისინი სიამოვნებით იხსენებდნენ ბატონ სიმონთან დაუვნყარ

შეხვედრებს, მის წვლილს გელათის აკადემიის დაარსებასა და მუშაობაში, დიდი მეცნიერი მუდამ მხარში ედგა ქუთაისელ კოლეგებს.

კულტურის სამსახურის მხარდაჭერით შეხვედრაზე ახალგაზრდა მუსიკოსებმა მალალ პროფესიულ დონეზე შეასრულეს კლასიკური მუსიკის ნიმუშები. საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია ბატონ ს. ყაუხჩიშვილისადმი მიძღვნილმა დოკუმენტურმა ფილმმა, რომელიც მეცნიერის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით გადაიღეს. ქუთაისის კათოლიკური ეკლესია, ა. ნერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, წლის ბოლოს გეგმავს მასშტაბური სამეცნიერო კონფერენციის მოწყობას, სადაც ვრცლად იქნება საუბარი მეცნიერის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ნატა ვარლამიშვილი

ეპისკოპოსის განცხადება

ბოლო დროს, ქართულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ პაპმა ისაუბრა და დასაშვებად მიიჩნია ჰომოსექსუალი პირების სამოქალაქო ქორწინება. სტატიებმა დაბნეულობა გამოიწვია...

გთავაზობთ ჩვენი ეპისკოპოსის, ჯუზეპე პაზოტოს განმარტებას თუ რა თქვა სინამდვილეში პაპმა

თბილისი, 2020 წლის 22 ოქტომბერი

მას შემდეგ, რაც არაერთმა მომმართა თხოვნით, განმეგრატა ფრაზა, რომელიც გამოქვეყნდა, როგორც თქმული პაპ ფრანცისკეს მიერ ჰომოსექსუალური კავშირების შესახებ, თავს ნებას ვაძლევ, განვაცხადო შემდეგი:

ჰომოსექსუალთა შესახებ პაპ ფრანცისკეს სადავო ფრაზა - „ის, რაც გვმართებს, უნდა მივიღოთ კანონი სამოქალაქო სახით თანამცხოვრებთათვის: აქვთ უფლება, კანონით იყვნენ დაცულნი“, რომელიც გაჟღერდა 2020 წლის 21 ოქტომბერს ევგენი აფინევესკის დოკუმენტურ ფილმში „ფრანცისკე“, - 2019 წლის მაისის თვეში მიცემული ინტერვიუს ფრაგმენტების მონტაჟს წარმოადგენს. ოთხი ამონარიდი, რომელთაგან ერთი მოჭრილი (არასრული) იყო, აწყობილ იქნა ერთად, რამაც გამოიწვია ერთგვარი დაბნეულობა ამ თემაზე პაპ ფრანცისკეს აზრის ზუსტად გასაგებად.

უკეთ რომ განვმარტოთ:

პაპმა სინამდვილეში თქვა: „ჰომოსექსუალებს აქვთ ოჯახში ყოფნის უფლება, (...) ხოლო მათი მშობლები ვალდებული არიან, მიიღონ ეს ჰომოსექსუალი ვაჟიშვილი, ჰომოსექსუალი ქალიშვილი. არ შეიძლება გააძევო ადამიანი ოჯახიდან და აუტანელი გახადო მისი ცხოვრება ამის გამო“. პაპ ფრანცისკეს აზრი ნათელია: შვილები, თუნდაც ჰომოსექსუალები, არ უნდა იქნენ გაძევებულნი ოჯახიდან. სხვა კონტექსტში ნათქვამი იყო: „ღვთის შვილნი არიან, უფლება აქვთ ოჯახზე...“

პაპის ფრაზა, ისე, როგორცაა ჩამონტაჟებული დოკუმენტურ ფილმში, სხვა ამონარიდების დართვით, ტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს პაპი საუბრობს ერთსქესიანთა ოჯახებზე. პაპს არაერთხელ განუცხადებია: „მუდამ ვიცავ მოძღვრებას, შეუსაბამო საუბარი ჰომოსექსუალურ „ქორწინებაზე“. და კვლავ: „ქორწინება ისტორიულად ჩამოყალიბებული ცნებაა. კაცობრიობაში, და არა მხოლოდ ეკლესიაში, ოდითგანვე საუბარია მამაკაცსა და ქალზე. არ შეიძლება ამის შეცვლა, თითქოს უმნიშვნელო რამ იყოს (...). საგანთა ბუნებაა ეს, ასეა. მაშ, ვუნოდოთ მათ სამოქალაქო კავშირები, მაგრამ არა ქორწინება“.

დასასრულ

როგორც ყოველთვის, ყურადღება გვმართებს პაპის სიტყვების მოსმენისას, რადგან მის ნათქვამს ხშირად მისი ნააზრევისაგან სრულიად განსხვავებულად წარმოგვიდგენენ გარკვეული მიზნის მისაღწევად (შემთხვევითი არაა, რომ იტალიის პარლამენტში ახლო მომავალში შედგება ჰომოსექსუალთა თანაცხოვრების კანონის განხილვა).

ვინც კარგად იცნობს პაპ ფრანცისკეს, მისთვის ნათელია, რომ პაპი ყოველთვის მოუწოდებს ადამიანის ღირსების დაცვისაკენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება უპოვართ, დაუცველთ და საზოგადოებიდან გარიყულთ, მათ, ვისაც უარს უცხადებენ ადამიანის წმიდათანმიდა და ძირეული უფლების დაცვაზე. პაპი საუბრობს სამოქალაქო ხელისუფლების მოვალეობაზე. წმიდა მამამ შესაძლოა ზოგჯერ გაგვაკვირვოს თავისი მეთოდით, მაგრამ ვერავინ შეიტანს ეჭვს ქრისტეს რჯულისა და ეკლესიის ნააზრევისადმი მის ერთგულებაში. ქრისტესადმი ერთგულება ხშირად გვიბიძგებს, ვეძიოთ ახალი და უჩვეულო გზები, რათა დავიცვათ ღვთის ნება. წმიდა მამას ოდნავადაც არ შეუცვლია კათოლიკე ეკლესიის მოძღვრება ჰომოსექსუალობისა და ოჯახის რაობის შესახებ.

მ. ჯუზეპე პაზოტო

კავკასიის ლათინ კათოლიკეთა
სამოციქულო ადმინისტრატორი

ჩვენი ეკლესიის ცხოვრება

- 30-31 ოქტომბერი** – საქართველოს კარიტასის თანამშრომელთა ფორმაციული შეხვედრა
- 1 ნოემბერი** – ყველანმიდას დიდდღესასწაული
- 2 ნოემბერი** – ყოველთა მორწმუნე მიცვალებულთა მოხსენიება
- 3 ნოემბერი** – საქართველოში მოღვაწე ყველა გარდაცვლილ კათოლიკე სასულიერო პირთა გახსენება (წმ. ნირვებში ვლოცულობთ მათი სულები-სათვის) მ. სერაფიმ მერაბიშვილის (+1940), მ. შიო ბათმანიშვილის (+1937), მ. ლაზარე გოზალიშვილის (+1937), მ. სტანისლავ კაჭკაჭაშვილის (+1937) გახსენება
- 8 ნოემბერი** – საქართველოს კათოლიკე ეკლესიის ყველა წიმიდანის დღე
- 9 ნოემბერი** – ლატერანის ბაზილიკის კურთხევა
- 13-14 ნოემბერი** – საქართველოს კარიტასის თანამშრომელთა ფორმაციული შეხვედრა
- 15 ნოემბერი** – უპოვართა მსოფლიო დღე
- 17 ნოემბერი** – წმ. ელისაბედ უნგრელი, წმ. ელისაბედის დების მფარველი
- 22 ნოემბერი** – ქრისტე, სამყაროს მეფე, ახალშენის საკრებულოს დღეობა
- 23 ნოემბერი** – წმ. გიორგი, უდესი „პირდაპირების“ საკრებულოს დღეობა
- 27-29 ნოემბერი** – საქართველოს კათოლიკე ახალგაზრდების ცენტრის ლიდერების სკოლის პირველი შეხვედრა
- 29 ნოემბერი** – ახალი ლიტურგიული წელიწადის დასაწყისი (ადვენტი)
- 30 ნოემბერი** – წმ. ანდრია მოციქული, ბეთლემის (ახალხიზის) საკრებულოს დღეობა

განსვენება საუკუნო მიანიჭ მათ, უფალო!



ნოდარ პატაშვილი
* 26. 11. 1948, უდესი
† 17. 08. 2020, თბილისი



ლადო მერაბიშვილი
* 01.05. 1932, ახალშენი
† 20.08. 2020, ქუთაისი



ვიორა მავალიშვილი
* 17. 02. 1927, ვალე
† 01. 09. 2020, ვალე



ტარიელ მავალიშვილი
* 03.05. 1930, ვალე
† 29. 09. 2020, ვალე



რადოსია ტაპიკიანი
* 20.03. 1931, ოზურგეთი
† 23.08. 2020, ოზურგეთი



სარკის კაპანიანი
* 15.06. 1932, ახალქალაქი
† 21.09. 2020, ოზურგეთი

მთავარი რედაქტორი: მ. გაბრიელ ბრეგანტინი CSS

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ ბარდაველიძე, ვერიკო ნოზაძე, შორენა პარუნაშვილი, მერაბ ლაღანიძე, ციციკო ხითარიშვილი
თექნიკური მხარდაჭერა: მღვდ. მიხეილ სურმაგა, თამარ სტეფნაძე

მისამართი: ჟურნალ „საბას“ რედაქცია, გია აბესაძის ქ. №4ა 0105, თბილისი, საქართველო;

E-mail: sabamedia@gmail.com; www.sabamedia.net; www.facebook.com/sabamedia/

რეგისტრაციის №1853, დაარსდა 1994 წ. მანანა ანდრიაძის მიერ, © „საბა“, 2020.